ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

დემოკრატია და ისლამი ახლო აღმოსავლეთში:ირანის და ეგვიპტის მაგალითები

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტი
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულება
რეგიონალური კვლევები
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი : გია ნოდია

თინათინ მუმლაძე
19.01.2011

winaTqma

ნაშრომში, ისლამი და დემოკრატია ახლო აღმოსავლეთში: ირანისა და ეგვიპტის მაგალითები, მსურს განვიხილო დემოკრატიის ზოგადად მიღებული განმარტებები და ნიშანთვისებები, ისლამი და მისი გავლენა პოლიტიკაზე,დემოკრატიისა და ისლამის ერთმანეთთან მიმართება, რა გავლენას ახდენს ისლამი დემოკრატიის განვითარებაზე ახლო აღმოსავლეთში კერძოდ კი ირანსა და ეგვიპტეში,ისლამის გავლენა დემოკრატიის განვითარებაზე ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში.

ნაშრომის მიზანია ზოგადი წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს დემოკრატიის ფენომენზე, ისლამზე როგორც ერთ-ერთ დიდ და გავლენიან რელიგიაზე ახლო აღმოსავლეთში, და ირანსა და ეგვიპტეში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციასა და სახელმწიფოებრივ წყობაზე. აგრეთვე ისლამის გავლენაზე დამოკრატიის განვითარების პერსპექტივებზე ირანსა და ეგვიპტეში. ამრიგად, ნაშრომი დაყოფილია თავებად: დემოკრატია, ისლამი, ირანი, ეგვიპტე, დასკვნა, რაც საშუალებას მისცემს მკითხველს გაეცნოს დემოკრატიის და ისლამის განმარტებებს და დახასიათებებს, აგრეთვე ირანსა და ეგვიპტეში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს, დემოკრატიის განვითარების დონეს და პერსპექტივებს ამ ორი ახლო აღმოსავლეთის ქვეყანაში, და ისლამის საზოგადოებრივი აზრის, ცხოვრების სტილის და დემოკრატიის განვითარებაზე.

დემოკრატიისა და ისლამის ურთიერთმიმართებაზე მრავალი აზრთასხვადასხვაობა არსებობს. რელიგია და პოლიტიკა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მუსულმანურ სამყაროში, რაც განპირობებულია ისლამის ბუნებაზე როგორც რელიგიისა, რომელიც განაპირობებს საზოგადოებრივი აზრის და მორალის ჩამოყალიბებას. ისლამი თამაშობს დიდ როლს პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაზე ირანსა და ეგვიპტეში.